დასრულდა საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის სერტიფიცირების გამოცდის ჩაბარების მსურველთა რეგისტრაცია

საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის სერტიფიცირების გამოცდის ჩაბარების მსურველთა რეგისტრაცია დასრულდა. სარეგისტრაციო პროცესი 2024 წლის 25-31 ივლისის ჩათვლით პერიოდში განხორციელდა, როგორც დისტანციურად (ელექტრონული ფორმით), ისე საქართველოს მასშტაბით 11 მუნიციპალიტეტში მოქალაქეთა მომსახურების მიზნებისთვის შექმნილი სამდივნოების მეშვეობით.

გამოცდის ჩაბარების სურვილი, რეგისტრაციის შედეგების მიხედვით 796-მა მოქალაქემ დააფიქსირა (ქალი-567; კაცი-229), რაც, გამოცდაზე ჯამურად მისაღებ მონაწილეთა ადგილების რაოდენობის გათვალისწინებით 18%-ს შეადგენს (საგამოცდო ცენტრების მიხედვით რეგისტრირებულ გამოსაცდელთა რაოდენობის შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია ბმულზე).

საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა სერტიფიცირების გამოცდები 12-14 აგვისტოს განხორციელდება.

საგამოცდო ცენტრებში გამოცდის მიმდინარეობაზე დაკვირვების მიზნით დარეგისტრირდა სამი ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაცია: ააიპ სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება; ააიპ საზოგადოებრივი ინიციატივების ასოციაცია; ააიპ ახალგაზრდები ევროპული მომავლისთვის.

სერტიფიცირების გამოცდების ჩატარებას უზრუნველყოფს სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი.

საგამოცდო ტესტები ხელმისაწვდომია ბმულზე (საკითხები გამოცდაზე უცვლელი ფორმით გამოიყენება).

საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა სერტიფიცირების გამოცდა

N	საგამოცდო ცენტრების მისამართები	საგამოცდო ცენტრების მიხედვით გამოცდაზე მისაღებ მონაწილეთა ადგილების რაოდენობა	საგამოცდო ცენტრების მიხედვით გამოცდაზე დარეგისტრირებულ მონაწილეთა რაოდენობა
1	თბილისი, მუხიანი, მე-3 მ/რ, კორპ. №23 (N10 გლდანის საოლქო საარჩევნო კომისიის ადმინისტრაციული შენობა)	600	199
2	თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. №32 (N2 ვაკის საოლქო საარჩევნო კომისიის ადმინისტრაციული შენობა)	225	224
3	ქ. თელავი, დავითაშვილის №2 (N17 თელავის საოლქო საარჩევნო კომისიის ადმინისტრაციული შენობა)	360	34
4	ქ. რუსთავი, ფიროსმანის №19 (N20 რუსთავის საოლქო საარჩევნო კომისიის ადმინისტრაციული შენობა)	360	53
5	ქ. გორი, სამების №1 (N32 გორის საოლქო საარჩევნო კომისიის ადმინისტრაციული შენობა)	450	48
6	ქ. ახალციხე, კეცხოველის ქ. №6 (N37 ახალციხის საოლქო საარჩევნო კომისიის ადმინისტრაციული შენობა)	240	30
7	ქ. ტყიბული, თაბუკაშვილის ქ. №8 (N57 ტყიბულის საოლქო საარჩევნო კომისიის ადმინისტრაციული შენობა)	270	14
8	ქ. ქუთაისი, ი.ჭავჭავაძის გამზ. №31 (N59 ქუთაისის საოლქო საარჩევნო კომისიის ადმინისტრაციული შენობა)	420	44
9	ქ. ზესტაფონი, წერეთლის ქ. № 5 (N51 ზესტაფონის საოლქო საარჩევნო კომისიის ადმინისტრაციული შენობა)	360	27

10	ქ. ოზურგეთი, დოლიძის ქ. №1 (N60 ოზურგეთის საოლქო საარჩევნო კომისიის ადმინისტრაციული შენობა)	300	20
11	ქ. სენაკი, რუსთაველის ქ. № 221 (N64 სენაკის საოლქო საარჩევნო კომისიის ადმინისტრაციული შენობა)	405	32
12	ქ. ბათუმი, დემეტრე თავდადებულის ქ. №27 (N79 ბათუმის საოლქო საარჩევნო კომისიის ადმინისტრაციული შენობა)	450	71